თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 13

05 დეკემბერი 2022 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 32 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე -

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**მიხეილ დაღუნდარიძე;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ლევან ბერძენაშვილი;**
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**ზურაბ ლილუაშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**გიორგი ხაჭაპურიძე;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**თინათინ ხანჯალიაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**
საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე	**ალექსი ძულიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის **„ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“** თავმჯდომარის მოადგილეები: **თამარ ხატიაშვილი, ოთარ ესიტაშვილი, ზურაბ მოსახლიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზაზა ტატულიშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** თავმჯდომარის მოადგილეები: **ბაადურ რევაზიშვილი, გიგი გიგიტელაშვილი, ეთერი გურგენაშვილი.**

საკრებულოს წევრები: ნიკოლოზ მაისურაძე, გივი ლაფაური, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, ბაადურ გულიაშვილი, იმედა კევლიშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ივანე დალაქიშვილი, ნატალია ბახსოლიანი, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზ ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი, ლევან კოჭლოშვილი, მარიამ ლილუშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ნიკოლოზ მეტრეველი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები;

მოქალაქე მაკა მოსიაშვილი და ნიკოლოზ ვარდოშვილი.

თავმჯდომარემ სხდომის დაწყებამდე მწუხარება გამოთქვა უკრაინაში დაღუპული ქართველი მეომრების გამო და საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი
15.00სთ-დან- 15.20 სთ-მდე

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი
15.00სთ-დან- 15.20 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ო.ესიტაშვილმა** აღნიშნა, რომ საახალწლო სამზადისი უკვე მიმდინარეობს, რაზეც ახალგაზრდობა გამოთქვამს კმაყოფილებას.

გ.გიგიტელაშვილმა დასვა კითხვა საახალწლო ნაძვისხის დაზიანებების შეკეთებისათვის გამოცხადებულ ტენდერებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საკრებულოს მიერ თანხის გამოყოფამდე მერიამ გამოაცხადა ტენდერი.

მ.დაღუნდარიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით მომავალი თაობისათვის მნიშვნელოვანია მასშტაბური საახალწლო ღონისძიებების ჩატარება.

ა.ძულიაშვილმა დასვა კითხვა თუ რა ღონისძიებებზე დაიხარჯება პროექტში წარმოდგენილი თანხა.

ბ.რევაზიშვილმა ისაუბრა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ უამრავი ბავშვი სოციალურად საკმაოდ გაჭირვებულია, ამ ფონზე კი ჩვენ გაურკვეველ ღონისძიებაზე ვაპირებთ თანხის ხარჯვას.

გ.გიგიტელაშვილმა დასვა კითხვა განსახორციელებელ შესყიდვებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს საჭირო თანხების მობილიზება უნდა მოეხდინა დროულად.

ი.კევლიშვილმა აღნიშნა, რომ მთელი წლის განმავლობაში ვერ მოვიპოვეთ თანხა უმწეოთა და უპოვართა სამსახურითვის დამატებიტი ბენეფიციარების კვებისთვის, საახალწლო ღონისძიებებისათვის კი თანხები მობილიზება არ არის პრობლემა. ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ნახევარი მილიონის დახარჯვა საახალწლოდ არ უნდა იყოს მიზანშეწონილი.

გ.ხაჭაპურიძემ ისაუბრა საახალწლო ღონისძიებების მასშტაბების მნიშვნელობაზე.

ლ.კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულომ უარი არ უნდა თქვას იმ თანხებზე, რომელიც მიზნობრივად გადაეცემა მუნიციპალიტეტს.

ა.ძულიაშვილმა კი აღნიშნა, რომ ნებისმიერი თანხა უნდა დაიხარჯოს გონივრულად.

თ.ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უამრავი სოციალურად შეჭირვებული ბავშვი იღებს დახმარებას და საუბარი იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში ბავშვები შიმშილობენ არ შეესაბამება სიმართლეს.

ბ.რევაზიშვილმა აღნიშნა, რომ გამოხატავს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პოზიციას და მხარს არ დაუჭერენ წარმოდგენილ პროექტს, რადგან მუნიციპალიტეტში უამრავი პრობლემაა და ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ მათ გადაჭრაზე.

დ.ღაღანიძემ ისაუბრა საახალწლო ღონისძიებების აუცილებლობაზე.

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **20** (ოცი) წევრმა.

წინააღმდეგი 12(თორმეტი) წევრი: ა.ძულიაშვილი, ბ.რევაზიშვილი, გ.გიგიტელაშვილი, ე.გურგენაშვილი, ბ.გულიაშვილი, ი.კევლიშვილი, ზ.გრიშიკაშვილი, ი.დალაქიშვილი, ნ.ბახსოლიანი, რ.იმერლიშვილი, რ.ჩეკურიშვილი, ა.კუპატაძე.

თ.მთვარელიშვილმა ისაუბრა 2020-2021 წელს პანდემიიდან გამომდინარე არსებულ ვითარებაზე და აღნიშნა, რომ მოსახლეობისათვის წელს მნიშვნელოვანი იქნება საახალწლი ღონისძიებების მასშტაბები.

საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზი მთვარელიშვილი**